ხელშეკრულება №196
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო

5 ოქტომბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილი სახით და მეორე მხრივ, ინდ.მეწარმე „ირა თავდიშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ირა თავდიშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – ,,ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4.,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ. წყალტუბოში როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ხელბურთის ტურნირის მონაწილე უკრაინის ქალაქ მელიტოპოლის ხელბურთელთა გუნდის 18 წევრის (16 მოთამაშე, 2 მწვრთნელი) სასტუმროში ბინადრობის მომსახურების შესყიდვა (დანართის შესაბამისად);

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (CPV-55110000);

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1050 (ათასორმოცდაათი) ლარს.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების გაფორმების უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ მისამართზე.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 8-9 ოქტომბერს.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546
მუნიციპალიტეტის გამგებელი
კონსტანტინე მამისეიშვილი

ბ. ა.

მიმწოდებელი:

ინდ.მეწარმე „ირა თავდიშვილი"
მის: წყალტუბო, კოლხეთის ქუჩა მე-2 შესახვ. №14.
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა: №GE38BG0000000686347100
ს/კოდი: 53001017133
ინდ.მეწარმე
ირა თავდიშვილი

ბ. ა.

დანართი №1

№	დასახელება	თანხა	დღე -ღამე	რაოდენობა	ჯამი
1	სპორტსმენის სასტუმროში ბინადრობა	29,16	2	18	1050 ლარი
	ჯამი:				1050 ლარი

ინდ.მეწარმე:

ირა თავდიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. წყალტუბო

5 ოქტომბერი 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებ(ენ)ს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ირა თავდიშვილი“ შორის 2017 წლის 5 ოქტომბერს გაფორმებული № 196 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირები:

_____ რიმა მარგიანი

_____ ლია გუგუსიანი

_____ მაია ჯანელიძე

_____ ნონა ბადირეიშვილი

_____ ლია გიორგობიანი